

თვითმმართველი ქალაქი ფოთი



კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

თვითმმართველ ქალაქ ფოთში, დანელიას ქუჩის რეაბილიტაციის (აღმაშენებლის ქუჩიდან პეტრე იბერის ქუჩამდე), დანელიას ქუჩაზე ტროტუარისა და ბორდიურის მოწყობის, ს/ სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების და სატუმბო სადგურების რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო განცხადება

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის პროცედურა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 102 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

2013 წელი

საკონკურსო განცხადება

თვითმმართველი ქალაქ ფოთი (შემდგომში–ქალაქი ფოთი) აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. კონკურსი გამოცხადებულია თვითმმართველ ქალაქ ფოთში, დანელიას ქუჩის რეაბილიტაციის (აღმაშენებლის ქუჩიდან პეტრე იბერის ქუჩამდე), დანელიას ქუჩაზე ტროტუარისა და ბორდიურის მოწყობის, ს/ სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების და სატუმბო სადგურების რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

2. შესყიდვის ობიექტია: საპროექტო მომსახურების შესყიდვა

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 83000 ლარს, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

ა) დანელიას ქუჩის რეაბილიტაციის (აღმაშენებლის ქუჩიდან პეტრე იბერის ქუჩამდე) პროექტირება - 5,0 ათ. ლარი;

ბ) დანელიას ქუჩაზე ტროტუარისა და ბორდიურის მოწყობის პროექტირება - 5,0 ათ. ლარი;

გ) ს/ სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების პროექტირება - 3,0 ათ. ლარი;

დ) სატუმბო სადგურების რეაბილიტაციის პროექტირება - 70,0 ათ. ლარი.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 22 მარტის 10 საათიდან 2013 წლის 25 მარტის 14⁰⁰ საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი დ.აღმაშენებლის ქუჩა №12. თვითმმართველი ქ. ფოთის მერია.

5. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 25 მარტის 15⁰⁰ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი დ.აღმაშენებლის ქუჩა №12. თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულო.

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).

6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი.

15. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) კონკურსანტის რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით;
- ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- გ) 2007-2012 წლების განმავლობაში საპროექტო სამუშაოების შესრულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 600,0 ათ. ლარისა და მათ შორის ანალოგიური საპროექტო

სამუშაოების შესრულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300,0 ათ. ლარისა დანართი №2-ის მიხედვით, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული საპროექტო მომსახურებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები).

დ) საკონკურსო წინადადების ფასი დანართი №3-ის მიხედვით

16. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა

1.	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა (შინაარსი)	კოეფიციენტი - 0.5
2.	დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა	კოეფიციენტი - 0.3
3.	საკონკურსო წინადადების ფასი	კოეფიციენტი - 0.2

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 100 (ასი) კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და უნდა გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

20. კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ყველა (მათ შორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო) დოკუმენტაცია წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკუთრებას.

21. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი დაღმაშენებლის ქუჩა №12. თვითმმართველი ქ. ფოთის მერია. მე-4 სართული. საკონტაქტო პირი: საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - მანია სულავა, ტელ: +995 493 22-45-54

მობილური 599 748 436

ელ.ფოსტა :potitenderi2011@gmail.com

წერილობითი მიმართვის შემთხვევაში – თვითმმართველი ქალაქ ფოთი,

დ. აღმაშენებლის ქუჩა N12, საკონკურსო კომისია.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ა) დანელიას ქუჩის რეაბილიტაციის (აღმაშენებლის ქუჩიდან პეტრე იბერის ქუჩამდე) პროექტირება და დანელიას ქუჩაზე ტროტუარისა და ბორდიურის მოწყობის პროექტირება (აღმაშენებლის ქუჩიდან პეტრე იბერის ქუჩამდე გზის საფარის, ტროტუარების, ბორდიურების და გარე განათების მოწყობა).

- თანდართული სიტუაციური გეგმის შესაბამისად.

გ) ს/ სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების პროექტირება

- 9 აპრილის ხეივანი №8, №9, №10, №13, №21, №23, №27, №31 და №33;
- დ. აღმაშენებლის ქუჩა №32 და №55;
- სამეგრელოს ქუჩა №22 და №30;
- გორგასლის ქუჩა №10
- მე-7კმ დასახლება I და II კორპუსი.

დ) სატუმბო სადგურების (სანიაღვრე) რეაბილიტაციის პროექტირება

- მშვიდობის ქუჩაზე ;
- რუხადის ქუჩაზე;
- კოსტავას ქუჩაზე;
- შავი ზღვის ქუჩაზე;
- ბესიკის ქუჩაზე;
- 9აპრილის ხეივანი მდ.რიონთან;
- 9აპრილის ხეივანი ზღვასთან;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4(ოთხი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით.

ცენტრალური სტადიონი



პეტრე მარტის ქ.

კლდიაშვილის ქ.

დუმბაძის ქ.

აგაჩიანი ქ.

ტერიტორიის სიტუაციური გეგმა
მ. 1:1200

აღაშენაძის ქ.

რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
4. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:

ხელმძღვანელი:

ბ. ა.

2007-2012 წლებში შესრულებული საპროექტო სამუშაოების (მათ შორის ანალოგიური) ჩამონათვალი

№	ობიექტის დასახელება	დამკვეთი ორგანიზაცია	სახელშეკრულებო ღირებულება	ხელშეკრულების თარიღი (დაწყება, დამთავრება)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

ხელმძღვანელი:

ბ. ა.

საკონკურსო წინადადების ფასი

№	ობიექტის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარებში)
1	დანელიას ქუჩის რეაბილიტაციის (აღმაშენებლის ქუჩიდან პეტრე იბერის ქუჩამდე) პროექტირება	
2	დანელიას ქუჩაზე ტროტუარისა და ბორდიურის მოწყობის პროექტირება	
3	ს/ სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების პროექტირება	
4	სატუმბო სადგურების რეაბილიტაციის პროექტირება	
	სულ	

ხელმძღვანელი:

ბ. ა.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი

----- 2013 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქი ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) - შემდეგში „შემსყიდველი“, თვითმმართველი ქალაქი ფოთის საკრებულოს -----
---სახით და მეორეს მხრივ, -----” (კონკურსში გამარჯვებული), მისი დირექტორის -----
----- სახით - შემდეგში „მიმწოდებელი“ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველი“ კონკურსის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი“ (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე კონკურსში გამარჯვებული) მიაწოდებს საპროექტო მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება“).

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - საპროექტო მომსახურება

2.2 შესყიდვის საშუალება - კონკურსი
საკონკურსო განცხადების ნომერი - № -----

შესყიდვის კატეგორია - [71200000](#) - [არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები](#)

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - [71242000](#) - [პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა](#)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს, დღგ-სა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან (----- კალენდარული დღის ვადაში) ----- ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N3) და სპეციალური საგადასახდო ანგარიშფაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის ----- ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა). გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

9.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული ფორმით.

9.3 მომწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს რესურსული მეთოდით, წარმოადგინოს მუშა პროექტი მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ მიღებული მითითებებითა და რეკომენდაციებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპრტიზის (მოწვევის შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საკუთარი ხარჯით და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდება მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება.

9.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.7 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“
